ო ქ მ ი N17

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 9 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. თემურ გულუა
7. ვასილ კუკავა
8. ლევან ქავთარაძე
9. ლაშა ცატავა
10. თენგიზ აბაკელია
11. როსტევან გვარამია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ა. ნაჭყებიას 2016 წლის 22 ნოემბრის N541 განცხადების განხილვა საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომების გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარის ე. წურწუმიას 2016 წლის 28 ნოემბრის N546 განცხადების განხილვა (ფრაქცია „სამართლიანობისთვის“ შექმნის თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსის მ. ნაჭყებიას 2016 წლის 5 დეკემბრის N11/3174 წერილის განხილვა (შიდა აუდიტისა

და კონტროლის სამსახურის მიერ შემოწმებული ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის; ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის; ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის; ადმინისტრაციული სამსახურის; კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშის თაობაზე);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N03/3264 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N04/3269 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N06/3274 წერილის განხილვა („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N03/3282 წერილის განხილვა („არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N03/3281 წერილის განხილვა („შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება დღევანდელ ბიუროს სხდომას, გამომდინარე აქედან დღის წესრიგით წარმოდგენილ სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოსადგენ საკითხებს წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი თენგიზი აბაკელია

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ა. ნაჭყებიას 2016 წლის 22 ნოემბრის N541 განცხადების განხილვა საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომების გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ)

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი);

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ა. ნაჭყებიას განცხადება, საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომების გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ და განაცხადა, რომ კომისია სწავლობს

საკითხს და საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე წარმოდგენილი იქნება კომისიის დასკვნა მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

ბიუროს წევრების უმრავლესობა დაეთანხმა მომხსენებელს და განაცხადეს, რომ საპატიოდ უნდა ჩაეთვალოს ა. ნაჭყებიას საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებზე გამოუცხადებლობა მისი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - განაცხადა, რომ ეთანხმება იმ აზრს, ა. ნაჭყებიას საპატიოდ ჩაეთვალოს გაცდენილი დღეები, თუმცა მართებული იქნებოდა საკითხი გაგვეტანა საკრებულოს სხდომაზე და საკრებულოს წევრებთან ერთობლივად გადაწყვეტილიყო აღნიშნული საკითხი.

ე. ჯობავა- გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით, გამომდინარე იქედან, რომ 9 დეკემბერს ტარდებოდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, ამასთან კომისიას არ ჰქონდა წარმოდგენილი კომისიის დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით, საკითხი შეტანილიყო საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში და განხილულიყო საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში შეტანისა და საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განხილვის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის მიზნით.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარის ე. წურწუმიას 2016 წლის 28 ნოემბრის N546 განცხადების განხილვა (ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ შექმნის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი);

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარის ე. წურწუმიას 2016 წლის 28 ნოემბრის N546 განცხადება ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ შექმნის თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს სამი წევრის ედიშერ წურწუმიას, კახა ლატარიასა და გენადი

ქაძანაიას მიერ წარმოდგენილ იქნა ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტაცია. კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნიათ, რომ ის აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდეგ შემოვიდა წინადადებით რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შესულიყო ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ საკითხი

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსის მ. ნაჭყებიას 2016 წლის 5 დეკემბრის N11/3174 წერილის განხილვა (შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ შემოწმებული ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის; ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის; ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის; ადმინისტრაციული სამსახურის; კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშის თაობაზე);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ შემოწმებული ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის; ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის;

ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის; ადმინისტრაციული სამსახურის; კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N03/3264 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები გათვალისწინებულია 59 მოხელისთვის, თუმცა, მონაცემთა გადამოწმებისას აღმოჩნდა ტექნიკური შეცდომა და საბოლოო ჯამში, ტრენინგ-გეგმაში გამორჩენილია 7 მოხელე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც, ტრენინგ-გეგმით გათვალისწინებულია 66 მოხელის გადამზადება, თანხით 26400 ლარი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ

წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გამგეობიდან შემოსულ წერილში არ არის მოთხოვნილი აღნიშნული საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა, გამომდინარე აქედან შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი საკითხი შევიდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას საკითხის საკრებულოს მორიგ სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N04/3269 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი“ 250.0 ათასი ლარით და მუხლიდან „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე იურიდიული პირებიდან“ 254,8 ათასი ლარით. მცირდება ბიუჯეტში შემოსავლები 350,0 ათასი ლარით, კერძოდ, მუხლიდან „არაწარმოებული აქტივები, მიწა“. შემოსავლების

ზრდით მიღებული 154,8 ათასი ლარი, მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 147,8 ათასი ლარი - პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებებზე. 7,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 630,0 ათასი ლარით და შეადგინა 13676,5 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიას სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N06/3274 წერილის განხილვა („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები განისაზღვრა დასახლებების მიხედვით. საანგარიშო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული პროექტების განხორციელების პროცესში წარმოიშვა ეკონომია 129406 (ასოცდაცხრაათასოთხასექვსი) ლარი, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტისათვის არსებული სხვა პრიორიტეტული სამუშაოები, კერძოდ: 1. ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბიაში დამეწყრილი გზის აღდგენა - 33725 ლარი; 2. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში საცალფეხო ხიდის (ბურჯის გამაგრება) რეაბილიტაცია - 39603 ლარი; 3. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში შიდა სასოფლო (ცემენტო-ბეტონის) გზის მშენებლობა) – 43721,95 ლარი; 4. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N2 საბავშვო ბაღის (ეზოს შემოღობვა) კეთილმოწყობა - 12356 ლარი. დაგეგმილი სამუშაოების მიხედვით დასახლებებისთვის გათვალისწინებული თანხების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გადანაწილებისა და მიღებული ეკონომიის ფარგლებში დამატებით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის აუცილებელი თანხების შესაბამისი დასახლებებისთვის განაწილების მიზნით, დაკორექტირდა შესაბამისი მონაცემები, რაც ასევე იწვევს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში სათანადო ცვლილების აუცილებლობას. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე, ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

7. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N03/3282 წერილის განხილვა („არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მომზადდა წინადადება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" შერწყმისა და მათი ერთი იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბების

შესახებ, რაც განპირობებულია კულტურისა და განათლების ცენტრების ფუნქციების, ამოცანებისა და მიზნების ოპტიმიზაციით. ზემო აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით გამგეობის მხრიდან წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე", რის შემდეგაც, ამ თანხმობის საფუძველზე გამოიცემა გამგებლის ბრძანებები „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაციისა და „ა(ა)იპ - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

8. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2016 წლის 8 დეკემბრის N03/3281 წერილის განხილვა („შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და კომისიის დასკვნა

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განმარტებით 2016 წლის ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებისას შპს - „ხობის მოამბის“ მიერ წარმოდგენილ იქნა შემოსულობების გეგმა 7520,0 ლარის ოდენობით და დაუმტკიცდა 6565,0 ლარის ფარგლებში. მიმდინარე წლის ნოემბრისთვის შპს „ხობის მოამბეს“ შემოსულობებმა ფაქტიურად შეადგინა 1944,0 ლარი, რამაც წარმოშვა ვარაუდი შპს „ხობის მოამბის“ მიერ გასაწევი ხარჯების შესაძლო დაუფინანსებლობის შესახებ. გამგეობის განმარტებით ანალოგიური მდგომარეობა გრძელდება უკანასკნელი წლების განმავლობაში. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის წინადადებით, დაისვა საკითხი შპს „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციის თაობაზე, რადგან შპს-ს ფუნქციონირება არსებული ფორმით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამგეობის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ლიკვიდაცია ხდება შპს „ხობის მოამბის“ და არა გაზეთის, გაზეთი იარსებებს, ოღონდ მისი გამოცემა განხორციელდება სხვა ფორმით, ეს შესაძლებელია რომელიმე ა(ა)იპ-ის ქვესტრუქტურის სახით განხორციელდეს ან ტენდერის საშუალებით. გამომსვლელმა მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხდა, რომ შპს „ხობის მოამბის“ ლიკვიდაცია პიროვნულად არავის მიმართ არ არის მიმართული. არავის ინტერესებში არ შედის შპს-ს თანამშრომლები დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, მაგრამ დადგა ამის აუცილებლობა. თუ ტენდერით განხორციელდა გაზეთის გამოცემა, ბიუჯეტში ეკონომიაც დარჩება.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა